



ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროსისტემები“

(ს/ნ 203842342)

03 დეკემბერი 2018

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9-10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11-26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტაქს ინფო“ (SARAS-F-822418)

KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. N12,
0193 თბილისი, საქართველო

TaxInfo LLC. (SARAS-F-822418)

King David – Business Center, M.Aleksidze Str. N12,
0193 Tbilisi, Georgia

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აგროსისტემებისა“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდეგში - ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროსისტემები“

მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის
აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „ჯგუფის“ საქმიანობის მიმოხილვის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2017 წლის წლიურ მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს „ჯგუფის“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს „ჯგუფის“ ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროსისტემები“

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს ჩვენს მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ „ჯგუფის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა „ჯგუფის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება „ჯგუფი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს „ჯგუფში“ შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები „ჯგუფის“ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მამასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროსისტემები“

ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლ ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

03 დეკემბერი, 2018წ.



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროსისტემები“

ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლ ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით

თბილისი, საქართველო


03 დეკემბერი, 2018წ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროსისტემები“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ, N	2017	2016
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5	30,684.84	32,901.43
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან		31.36	31.49
შემოსავალი იჯარიდან		11.45	15.73
სულ შემოსავალი		30,727.65	32,948.65
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(28,515.14)	(31,958.04)
წმინდა შემოსავალი		2,212.51	990.61
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	450.79	-
ტრანსპორტირების და მიწოდების ხარჯი	8	(227.54)	(165.17)
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(2,654.16)	(2,796.03)
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	-	(392.38)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(218.39)	(2,362.96)
ფინანსური შემოსავალი	11	779.78	401.47
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		(363.13)	(2,331.38)
წმინდა ფინანსური (ხარჯი) / შემოსავალი		416.65	(1,929.90)
მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს (ზარალის)/მოგების წილი		-	-
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		198.26	(4,292.86)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		198.26	(4,292.86)
შეწყვეტილი ოპერაციები			
სხვა სრული შემოსავალი			
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		198.26	(4,292.86)

 /რანა ბაბაძე/
 დირექტორი

 /შახინ ბალაქიშიევი/
 მრავალპარტიული ბუღალტერი



11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ, N	2017	2016
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5	30,684.84	32,901.43
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან		31.36	31.49
შემოსავალი იჯარიდან		11.45	15.73
სულ შემოსავალი		30,727.65	32,948.65
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(28,515.14)	(31,958.04)
წმინდა შემოსავალი		2,212.51	990.61
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	450.79	-
ტრანსპორტირების და მიწოდების ხარჯი	8	(227.54)	(165.17)
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(2,654.16)	(2,796.03)
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	-	(392.38)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(218.39)	(2,362.96)
ფინანსური შემოსავალი	11	779.78	401.47
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		(363.13)	(2,331.38)
წმინდა ფინანსური (ხარჯი) / შემოსავალი		416.65	(1,929.90)
მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს (ზარალის)/მოგების წილი		-	-
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		198.26	(4,292.86)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		198.26	(4,292.86)
შეწყვეტილი ოპერაციები			
სხვა სრული შემოსავალი			
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		198.26	(4,292.86)

_____/რანა ბაბაევი/

დირექტორი

_____/შახინ ბალაქიშიევი/

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენN	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	31,421.42	32,634.10	32,727.22
არამატერიალური აქტივები		-	-	-
მონაწილეობა სხვა საწარმოში		-	-	-
გაცემული სესხები		-	-	-
გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები		-	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები	13	-	-	392.38
სულ გრძელვადიანი აქტივები		31,421.42	32,634.10	33,119.60
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	14	3,278.07	12,993.37	17,393.63
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	2,271.60	2,129.91	5,003.20
გაცემული სესხები		-	-	-
მოძღვრულზე გაცემული ავანსები	16	5,060.53	3,231.54	2,139.83
წინასწარ გადახდილი გადასახადები	17	336.34	2,199.47	2,081.90
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18	12,190.56	3,971.65	5,308.98
სულ მიმდინარე აქტივები		23,137.10	24,525.94	31,927.54
სულ აქტივები		54,558.51	57,160.04	65,047.14
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	19	562.72	562.72	562.72
დამატებითი საწესდებო		1,034.17	1,034.17	1,034.17
გაუნაწილებელი მოგება		32,226.79	32,028.54	36,321.40
დაგროვილი ზარალი		-	-	-
სულ კაპიტალი		33,823.68	33,625.42	37,918.29
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები		-	-	-
რესტრუქტურირებული ვალდებულებები		-	-	-
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები		-	-	3,000.00
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	20,734.83	23,534.61	24,128.85
საგადასახადო დავალიანებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები		20,734.83	23,534.61	27,128.85
სულ ვალდებულებები		20,734.83	23,534.61	27,128.85
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		54,558.51	57,160.04	65,047.14

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწყესდებ ო კაპიტალი	აკუმულირებულ ი მოგება	დამატებით ი საწყესდებო კაპიტალი	სულ კაპიტალ ი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	562.72	36,321.40	1,034.17	37,918.29
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		(4,292.86)		(4,292.86)
დივიდენდები				-
კაპიტალის შემცირება				-
დაუფარავი ზარალის გაუქმება				-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	562.72	32,028.54	1,034.17	33,625.42
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	562.72	32,028.54	1,034.17	33,625.42
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		198.26		198.26
დივიდენდები				-
კაპიტალის შემცირება	-			-
დაუფარავი ზარალის გაუქმება				-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	562.72	32,226.79	2,068.34	33,823.68

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შემოსავლები:	2017	2016
ფულადი სახსრები საქონლის გაყიდვიდან	34,619.19	39,256.46
ფულადი სახსრები მომსახურების რეალიზაციიდან	18.75	8.88
შემოსავალი იჯარიდან	13.39	15.43
სხვა შემოსავალი	25.20	76.60
თანხის უკან დაბრუნება	129.41	634.38
სულ შემოსული თანხები	34,805.93	39,991.75

ხარჯები:		
ფულადი სახსრები ნედლეულის მომწოდებელს დაქირავებულ პირთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(19,117.20)	(29,472.95)
	(1,321.79)	(1,425.71)

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროსისტემები“

გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები (გარდა მოგებისა)	(2,165.39)	(4,516.63)
ბანკის საკომისიო	(5.61)	(6.46)
კომუნალური ხარჯები	(688.54)	(708.44)
საწვავის / ავტონაწილების ხარჯი	(110.25)	(96.86)
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(3,905.53)	(1,013.75)
გადაზიდვის ხარჯი	(439.77)	(1,064.92)
სხვა ხარჯები	(10.98)	(21.85)
სულ გაცემული თანხები	(27,765.06)	(38,327.56)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	7,040.87	1,664.19
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(17.18)	(11.81)
მიწის გაყიდვა	297.21	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	5.80
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები	280.03	(6.01)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	384.58	190.55
გადახდილი სესხის პროცენტები	-	(110.82)
გადახდილი სესხი	-	(3,000.00)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები	384.58	(2,920.26)
სავალუტე კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	513.42	(75.24)
ფული პერიოდის დასაწყისში	3,971.65	5,308.98
ფული პერიოდის ბოლოს	12,190.56	3,971.65
სხვაობა	8,218.91	(1,337.33)

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ინფორმაცია საწარმოს შესახებ

შპს „აგროსისტემები“ არის 1999 წლის 30 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული (რეგისტრაციის N06/4-103) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, მარნეულის რაიონი, სოფელი იაღლუჯა.

საწარმოს ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ხორბლის ფქვილის წარმოება.

საწარმო წინამდებარე ანგარიშგებაში მოყვანილ შვილობილ საწარმოსთან ერთად იწოდება - ჯგუფად.

საწარმოს პარტნიორი	31.დეკ.17	31.დეკ.16
ასაბილ კასუმოვი (P3951450)	100%	100%
სულ:	100%	100%

2016 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს წილის 100%-ს ფლობს ასაბილ კასუმოვი (P3951450) - აზერბაიჯანის რეზიდენტი ფიზიკური პირი.

2. მომზადების საფუძველი

2.1. ზოგადი ინფორმაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის (შპს „აგროსისტემები“, შპს „კარმენ-K“), როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან მთლიანად არის ამორიცხული შიდა ჯგუფური ნაშთები და შიდა ჯგუფური ოპერაციები.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროსისტემები“

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული საწარმოს პარტნიორის მიერ პარტნიორთა კრებაზე. საწარმოს პარტნიორს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, კონსოლიდირებული ანგარიშგების გამოშვების შემდგომაც.

2.2. შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

შვილობილი საწარმო	31.დეკ.17		იურისდიქცია	დაფუძნების თარიღი		სფერო
	31.დეკ.16					
შპს კარმენ - K (ს/ნ 427716395)	100%	100%	საქართველო	03.11.2010		ფქვილის წარმოება

საწარმო ფლობს შვილობილი საწარმოს 100%-ს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას ჯგუფი აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ჯგუფი ძირითად საშუალებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც

- (ა) იმყოფება ჯგუფის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

„ჯგუფი“ ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ბ) ჯგუფისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

3.2.2. აღირების შემდგომი შეფასება

ჯგუფი ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები; დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

3.2.3. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- | | |
|----------------------------|---------------|
| • შენობა-ნაგებობები | 30 – 50 წელი; |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 – 10 წელი; |
| • მანქანა დანადგარები | 5 – 10 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 – 10 წელი; |
| • ძალოვანი დანადგარები | 5 - 10 წელი |

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

3.2.4. გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუიმ ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში ჯგუფი აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.2.5. აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

- (ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს ჯგუფი ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

3.3.1. აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას ჯგუფი ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც

- (ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;
- (ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და
- (გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

3.3.2. თავდაპირველი შეფასება

ჯგუფი არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

- (ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და
- (ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ ჯგუფი არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.3.4. ამორტიზაცია

ჯგუფი არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.3.5. გაუფასურება

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ჯგუფი არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;
- ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება

ჯგუფი მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

3.4.2. შეფასება

ჯგუფი მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ჯგუფი მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში ჯგუფი მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.4.5. აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);

ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.5.1. აღიარება

ჯგუფი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.5.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს გარიგების ფასით.

3.5.3. გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების,

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფმა დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) ჯგუფი ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6. საკუთარი კაპიტალი

ჯგუფი საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს ჯგუფის მესაკუთრის მიერ ჯგუფში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა ჯგუფის მომგებიანი საქმიანობებიდან და ჯგუფში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

ჯგუფი საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

- (ა) ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) ჯგუფი არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს ჯგუფი აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება

ჯგუფი ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება ჯგუფი მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. ჯგუფი ლიკვიდაციას ან მისი საქმიანობის რაიმე სახით შეკვეცას არ გეგმავს.

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროსისტემები“

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე აქტივები აღემატებოდა მის მიმდინარე ვალდებულებებს 2 402.27 ლარით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული თანაფარდობა უზრუნველყოფს ჯგუფის აუცილებელ ლიკვიდურობას, ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებისათვის 2018 წლის შემდგომ პერიოდშიც.

5. შემოსავალი

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
ფქვილის და ქატოს რეალიზაცია	30,684.84	32,896.52
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	-	4.92
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	30,684.84	32,901.43
შემოსავალი მომსახურებიდან	31.36	31.49
შემოსავალი იჯარიდან	11.45	15.73
სულ შემოსავალი მომსახურებიდან *	42.81	47.22
შემოსავალი	30,727.65	32,948.65

* შემოსავლების მცირე ნაწილი ფორმირებულია ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით. აღნიშნული მომსახურებები დაკავშირებულია ჯგუფის ძირითად საშუალებად და მათ ჯგუფი სხვა დამოუკიდებელი სეგმენტიდან მიღებულ შემოსავლად არ განიხილავს.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(28,515.14)	(31,943.08)
რეალიზებული ძირითადი საშუალების თვითღირებულება*	-	(14.96)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(28,515.14)	(31,958.04)

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

7. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	ლარი'000	ლარი'000
დავალიანების ჩამოწერის შედეგად მიღებული შემოსავალი*	450.79	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	450.79	-

* ხანდაზმული კრედიტორული დავალიანების ჩამოწერით მიღებული შემოსავალი

8. ტრანსპორტირების და მიწოდების ხარჯი

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
რეკლამის ხარჯი	-	(0.20)
დამხმარე მასახლების დანახარჯები	(1.74)	-
მარკეტინგის ხარჯი	(0.42)	(0.42)
მიწოდების, ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	(225.38)	(164.55)
ტრანსპორტირების და მიწოდების ხარჯი	(227.54)	(165.17)

9. ადმინისტრაციული ხარჯი

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
სახელფასო ხარჯი	(742.20)	(755.38)
საგადასახადო ხარჯი	(404.02)	(394.70)
ცვეთის ხარჯი	(1,210.40)	(1,159.43)
რემონტის ხარჯები	(54.86)	(6.80)
საწვავის ხარჯი	(34.31)	(27.92)
კომუნიკაცია და კომუნალურები	(33.58)	(45.55)
უიმედო დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	(26.66)	-
საკონსულტაციო ხარჯი	(22.06)	(44.98)
დასუფთავების ხარჯი	(19.53)	-
სატ. საშ. ექსპლ. ხარჯი	(6.17)	(236.99)
საკანცელარიო ხარჯი	(3.39)	(3.93)
მცირეფასიანი ინვენტარი	(2.04)	(10.16)
დაცვის ხარჯი	(1.29)	-

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროსისტემები“

ჯარიმები	(0.25)	(0.15)
ტრანსპორტირების ხარჯი	(0.23)	(1.13)
გადახდილი ჯარიმები	-	(0.83)
სხვადასხვა ხარჯი	(93.15)	(108.08)
ადმინისტრაციული ხარჯი	(2,654.16)	(2,796.03)

10. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
გადავადებული მოგების გადასახადის ჩამოწერა*	-	(392.38)
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	(392.38)

* 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იბეგრება არა დარიცხული მოგება, არამედ ფიზიკურ პირებზე ან/და არარეზიდენტ პირებზე დივიდენდის სახით გაცემული მოგება და შეადგენს განაწილებული მოგების 15%-ს (ე.ი. განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ს).

საკანონმდებლო ცვლილებებისა და ფასს (IAS) 12 „მოგების გადასახადი“-ის მოთხოვნის საფუძველზე ჯგუფმა განახორციელა გადავადებული საგადასახადო აქტივის ჩამოწერა და აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

11. ფინანსური შემოსავლები

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
საპროცენტო შემოსავლები დეპოზიტებიდან*	384.58	190.55
სხვა საპროცენტო შემოსავლები	4.69	210.92
შემოსავალი კურსთა შორის სხვაობიდან	390.51	-
ფინანსური შემოსავლები	779.78	401.47

* ჯგუფის საპროცენტო შემოსავლები მთლიანად ფორმირებულია საბანკო დაწესებულებებში განთავსებულ უვადო და მოკლევადიან დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავლებიდან

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება							
ისტორიული ღირებულება 01.01.2016	3,484.67	15,274.58	864.30	6,874.38	1,128.21	11,148.91	38,775.04
შემოსვლა	-	-	52.94	1.85	-	1,035.61	1,090.41
გასვლა	-	-	-	-	(23.01)	-	(23.01)
გადაცემები	-	-	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2016	3,484.67	15,274.58	917.25	6,876.23	1,105.20	12,184.52	39,842.44
ისტორიული ღირებულება 01.01.2017	3,484.67	15,274.58	917.25	6,876.23	1,105.20	12,184.52	39,842.44
შემოსვლა		11,156.00	19.10	4.79	25.30	-	11,205.20
გასვლა	(30.75)	-	(7.77)	(4.95)	(16.43)	(11,148.39)	(11,208.28)
გადაცემები		-	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	3,453.92	26,430.59	928.58	6,876.07	1,114.07	1,036.13	39,839.35
ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 01.01.2016	-	(1,540.68)	(315.98)	(3,618.11)	(573.06)	-	(6,047.82)
ცვეთა	-	(305.38)	(87.14)	(668.27)	(99.73)	-	(1,160.52)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2016	-	(1,846.05)	(403.12)	(4,286.38)	(672.79)	-	(7,208.34)
დაგროვილი ცვეთა 01.01.2017		(1,846.05)	(403.12)	(4,286.38)	(672.79)	-	(7,208.34)
ცვეთა		(361.28)	(78.27)	(665.68)	(104.36)		(1,209.59)
გადაცემები							-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017		(2,207.33)	(481.39)	(4,952.06)	(777.15)	-	(8,417.94)
საბალანსო ღირებულება							
საბალანსო ღირებულება 01.01.2016	3,484.67	13,733.91	548.32	3,256.27	555.15	11,148.91	32,727.22
საბალანსო ღირებულება 31.12.2016	3,484.67	13,428.53	514.13	2,589.85	432.41	12,184.52	32,634.10
საბალანსო ღირებულება 31.12.2017	3,453.92	24,223.25	447.19	1,924.01	336.91	1,036.13	31,421.42

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აგროსისტემები“

* ჯგუფის მთელ მოძრავ ქონებაზე გავრცელებულია ს/ს საქართველოს ბანკის გირავნობის უფლება, რომლითაც ხდება ხსენებულ ინსტიტუტში პერიოდულად საკრედიტო ხაზის ფარგლებში მიღებული თანხების უზრუნველყოფა

13. გადავადებული საგადასახადო აქტივი

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
მოგების გადასახადის აქტივი	-	-	392.38
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	-	392.38

14. მარაგები

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
საქონელი	13.59	3.26	71.02
ნედლეული და მასალები	1,548.87	10,004.25	15,326.70
მზა პროდუქცია	841.40	1,852.42	994.12
შესაფუთი და სხვა დამხმარე მასალები	402.49	727.54	613.69
სამშენებლო მასალები	400.05	360.41	365.34
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	71.67	45.49	22.76
მარაგები	3,278.07	12,993.37	17,393.63

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,271.60	2,129.91	5,003.20
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,271.60	2,129.91	5,003.20

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

16. მომწოდებლებზე გაცემული ავანსები

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
ხორბლის მომწოდებელი კომპანია	3,454.22	-	-
უძრავი ქონების მომწოდებელი კომპანია	1,517.93	1,517.93	1,517.93
სხვა	88.38	1,713.61	621.90
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები	5,060.53	3,231.54	2,139.84

17. წინასწარ გადახდილი გადასახადები

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
ერთიან საგადასახადო ბარათზე რიცხული ზედმეტობა	336.34	2,199.47	2,081.90
წინასწარ გადახდილი გადასახადები	336.34	2,199.47	2,081.90

18. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
ნაღდი	159.28	50.00	40.36
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში	12,031.27	3,921.65	5,268.62
ფული და ფულის ექვივალენტები	12,190.56	3,971.65	5,308.98

19. კაპიტალი

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
საწესდებო კაპიტალი	562.72	562.72	562.72
გაუნაწილებელი მოგება	32,226.79	32,028.54	36,321.40
დამატებითი საწესდებო კაპიტალი	1,034.17	1,034.17	1,034.17

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სულ კაპიტალი	33,915.97	33,717.71	37,918.29
--------------	-----------	-----------	-----------

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
ვალდებულება ნედლეულის მომწოდებლების მიმართ	20,331.77	20,591.23	19,625.06
ვალდებულება უძრავი ქონების მომწოდებლის მიმართ	181.45	2,631.02	2,631.02
ვალდებულება ენერგო პრო ჯორჯიას მიმართ	72.22	68.77	84.50
სხვა ვალდებულებები	149.39	243.59	1,788.27
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20,734.83	23,534.61	24,128.85

21. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ძირითადი საშუალებების შეფასება

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა გაანგარიშებულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის რეალური მომსახურების ვადა განსხვავებული იქნება შეფასებული მომსახურების ვადისგან, ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

22. ხელმძღვანელი პირების კომპენსაციები

საწარმოს დირექტორის - რანა ბაბაევის ხელფასი შეადგენს:

2017 – 25,11 ლარი;

2016 – 25.22 ლარი

შვილობილი საწარმოს დირექტორის - ნინელი ქიტოშვილის ხელფასი შეადგენს

2017 წელს – 13.81 ლარი;

2016 წელს – 18.61 ლარი

11-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

The background of the page is filled with numerous translucent, 3D cubes of various sizes. These cubes are arranged in a way that suggests movement and depth, with some appearing to float in the foreground and others receding into the background. The color palette for the cubes ranges from light blue and cyan to warm orange and yellow tones, creating a vibrant and modern aesthetic.

მმართველობით ო ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა



ფაქტები კომპანიის შესახებ



საწარმოს დასახელება:

ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმო:

რეგისტრაციის თარიღი:

საწარმოს იურიდ./ფაქტ. მისამართი:

დაქირავებულ პირთა რაოდენობა:

დარგი:

მთლიანი აქტივების ღირებულება:

საწარმოს პარტნიორი (100%-იანი წილი):

საწარმოს დირექტორი:

შპს „აგროსისტემები“

შპს „კარმენ-K“ (ს/ნ 427716395)

07 სექტემბერი 2009 ს/ნ 203842342

საქართველო, მარნეულის რაიონი,
სოფელი იაღლუჯა

152

ფქვილის წარმოება

50 მლნ ლარზე მილიონზე მეტი

ასაბილ კასუმოვი

რანა ბაბაევი



საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფქვილის წარმოება. ჯგუფს გააჩნია წარმოება სოფელ იაღლუჯასა (მარნეულის რაიონი) და კაჭრეთში.

ჯგუფის მთლიანმა შემოსავალმა 2017 წელს გადააჭარბა - 30 მლნ ლარს.

ჯგუფის მთლიანი აქტივები 31.12.2017 წლის მდგომარეობით აჭარბებს - 50 მლნ. ლარს, მ.შ. ძირითად საშუალებებში განხორციელებული ინვესტიციები აჭარბებს - 30 მლნ. ლარს.

პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება, როგორც რუსული, ისე ადგილობრივი წარმოების ხორბალი.

2017 წელს ჯგუფის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ გადააჭარმა 2,1 მლნ ლარს.



პროდუქციის ხარისხის კონტროლი

ჯგუფის მთავარ ამოცანას წარმოადგენს თავისი მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიწოდება. პროდუქციის ხარისხზე ზრუნვა იწყება ნედლეულის მომწოდებლების შერჩევით: ჯგუფის მიერ ხდება მხოლოდ მაღალი ხარისხის ხორბლის შეძენა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კომპანიის შიდა სტანდარტით, ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. შეძენილი ხორბლის ხარისხის მუდმივი კონტროლის უზრუნველსაყოფად ჯგუფს გააჩნია უმაღლესი ხარისხის აპარატურით აღჭურვილი შიდა ლაბორატორია.

განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს პროდუქციის წარმოება. წარმოების პროცესში დაცულია საკვები პროდუქტების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.



წარმოების პროცესის დასრულების შემდეგ მზა პროდუქცია კიდევ დამატებით გადის ხარისხის შემოწმებას კომპანიის შიდა ლაბორატორიაში და ლაბორატორიის დადებითი დასკვნის შემდეგ მიეწოდება მომხმარებელს.



სამუშაო გარემო

ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ადამიანური რესურსების განყოფილებისათვის დასმულ მთავარ დავალებას წარმოადგენს ჯგუფში სამუშაო გარემოს მუდმივი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა. ჯგუფში

დასაქმებულ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენენ მარნეულის რაიონისა და კაჭრეთის მკვიდრებს.

ჯგუფში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობამ 2017 წელს შეადგინა - 152 პირი.




ადამიანური რესურსების განყოფილების მიერ მუდმივად ხდება მუშა-მოსამსახურეთა გადამზადება და შრომითი უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის მუდმივი მონიტორინგი. ადამიანური რესურსების განყოფილება ჯგუფში დასაქმებულ პირებს პერმანენტულად აწვდის ინფორმაციას საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მათი უფლებების შესახებ.



ეკოლოგიური პოლიტიკა

ჯგუფის ეკოლოგიური პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს ზოგადი პოლიტიკის ნაწილს, მთლიანად მიმართულია ჯგუფის საქმიანობით გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისაკენ. ეკოლოგიური პოლიტიკა ასევე მოიცავს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პოლიტიკას.



ჯგუფი დროულად ასრულებს ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ჯგუფის ხელმძღვანელობა დამატებით ცდილობს ზუსტად დაიცვას გარემოსდაცვის კუთხით ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი დირექტივები და სტანდარტები.



მომავლის ხედვა

ჯგუფი მომავალში გეგმავს თავისი პროექტის დაფასოებას 1კგ.იან, 3კგ.-იან და 5კგ.-იან შეფუთვებში, რაც ჯგუფს საშუალებას მისცემს დისტრიბუტორი (შუამავალი) პირების გარეშე მიაწოდოს პროდუქცია ქსელურ სავაჭრო ობიექტებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ჯგუფის შემოსავლებს.

ჯგუფი გეგმავს საკუთარი პროდუქციის ექსპორტს არაბეთისა და აფრიკის ქვეყნებში, რაც ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფის ზრდის თვალსაზრისით.

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია

03 დეკემბერი 2018

-----*signed*-----

შპს „აგროსისტემები“-ს დირექტორი




მომავლის ხედვა

ჯგუფი მომავალში გეგმავს თავისი პროექტის დაფასოებას 1კგ.იან, 3კგ.-იან და 5კგ.-იან შეფუთვებში, რაც ჯგუფს საშუალებას მისცემს დისტრიბუტორი (შუამავალი) პირების გარეშე მიაწოდოს პროდუქცია ქსელურ სავაჭრო ობიექტებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ჯგუფის შემოსავლებს.

ჯგუფი გეგმავს საკუთარი პროდუქციის ექსპორტს არაბეთისა და აფრიკის ქვეყნებში, რაც ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფის ზრდის თვალსაზრისით.

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია

03 დეკემბერი 2018


შპს „აგროსისტემები“-ს დირექტორი

